# შეისწავლის თუ არა ადგილობრივი და ცენტრალური აუდიტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობრივი სარგოების გაცემისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების საკითხებს

თემურ მარშანიშვილი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობრივი სარგოების გაცემისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების საკითხების ძირფესვიანად შესწავლაში ადგილობრივი და ცენტრალური აუდიტის ჩართვა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილმა** საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ბოლო, მეოთხე საკითხის განხილვისას მოითხოვა.

საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დასაყენებლად საჯარო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა **ლაშა თავაძემ** გამოიტანა.

პროექტის წარმომდგენს პირველი ოპოზიციონერი (ნაციონალი) დეპუტატი ბესო ქათამაძე შეეხმიანა, რომლის მიერ საკრებულოს მისამართით გამოთქმული კრიტიკა უპასუხოდ არ დატოვეს პოზიციონერებმა:

**ბესო ქათამაძე:** *თუ გაიხსენებთ, მე ვიყავი წინააღმდეგი, პირველ რიგში, ხელფასები გაზრდილიყო, ახლა გამოდის, რომ რანგს შეუცვლით, ხელფასებს შეუმცირებთ, მუნიციპალიტეტი ვაზარალეთ ფინანსურად. მაქვს კიდევ ერთი კითხვა: როდესაც მუნიციპალიტეტის შერწყმა მიდიოდა, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს, ხალხს ეუბნებოდნენ, რომ შერწყმული მუნიციპალიტეტი უფრო მოქნილი გახდებოდა და ფინანსურად უფრო ნაკლები დანახარჯი იქნებოდა, დღეს ოზურგეთელები ნახევარ მილიონზე მეტს იხდიან იმის გამო, რომ შერწყმა მოხდა, პასუხისმგებლობას ვინმე გრძნობს?*

*თქვენი არასწორი გადაწყვეტილებით დააზარალეთ ყველა ოზურგეთელი ნახევარი მილიონი ლარით, იმიტომ, რომ უფრო მეტი ჯდება დღეს მუნიციპალიტეტის შენახვა, ვიდრე ორი მუნიციპალიტეტისა ჯდებოდა და პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე არ უნდა აიღოს ვინმემ?*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *პასუხისმგებლობა, ბატონო ბესო, იმან უნდა აიღოს, ვინც ეს შეცდომა დაუშვა. ბატონო ლაშა, მე თქვენთან მექნება შეკითხვა, რამდენ თანამშრომელს დააკლდება ხელფასი და რა რაოდენობით? ასევე თუ გაქვთ განსაზღვრული რამდენი ლარი დააკლდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ყოველთვიურად და სულ? გარდა ამისა, ვფიქრობ, როდესაც ეს საკითხები და მობილობის წესი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ არასწორად ჩაატარა, აუცილებლად უნდა დადგეს შესაბამისი ხელმძღვანელის, პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი და მან აიღოს პასუხისმგებლობა ამ კონკრეტულ შედეგზე, ბიუჯეტის მძიმე დაზარალებაზე.*

▶▶▶ გვ-4

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10276) 20 აგვისტო 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

## ოზურგეთელი ზაზა მუჯირი სტიქიისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას, დასაქმებასა და საკუთარი ეზოს წინ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთათვის განკუთვნილი პარკინგის გაუქმებას ითხოვს



**ალიონი.** ამ შინაარსის შემცველი განცხადება ოზურგეთელმა ზაზა მუჯირმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 აგვისტოს სხდომაზე გააკეთა. დღევანდელი ხელისუფლებისგან გაწბილებული მოქალაქე, როგორც ამომრჩეველი, ნანობს, რომ ბოლო თვითმმართველობის არჩევნებში ხმა დამოუკიდებელ კანდიდატს მისცა.

ზაზა მუჯირმა თავისი გამოსვლა, ერის სასიქადულო მამულიშვილებისათვის – ანზორ ერქომაიშვილის, გია ყანჩელისა და ზურა ყიფშიძისათვის დაბადების დღეების მილოცვით დაიწყო, რითაც დარბაზში მყოფთა ტაში დაიმსახურა, თუმცა, შემდეგ, სიტყვის დასასრულს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებით, სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ნირი წაუხდინა.

„... ემოციური ვარ, თან დიაბეტი მაწუხებს და უნდა მაპატიოთ ეს ემოციურობა ცხოვრების ნორმალური პირობები, რომ იყოს, ასე არ ვისაუბრებდი. პოლიტიკაში არ ვერევი, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში. შარშან, 19 აპრილს, ღამის პირველ საათზე ძლიერმა ქარმა ალვის ხე მოხეთქა, რომელიც დაეცა ჩემს სახლს ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფმა ხელისუფლებაც შევაწუხე და გუბერნატორიც, მაგრამ ვერ მივაღწიე იმას, რომ დროულად დამხმარებოდნენ, მხოლოდ 24 ივნისს დაიწყეს სახლის გადახურვა, რომელიც ორი თვისა და ხუთი დღის განმავლობაში პრაქტიკულად უსახურავო იყო. სახლი დღესაც უმძიმეს მდგომარეობაშია, ორი წლის განმავლობაში აწვიმდა, ორივე სართულზე დაზიანებულია კედლები, ავეჯი.

აქვე ვცხოვრობ. აქ აღმასკომი და პარტიის რაიკომი რომ იყო, არასდროს

▶▶▶ გვ-2

## სიტყვიდან გადავარდნილი ურეკელი ბალოტელი და უბალოტელოდ დანაცული კურორტის პრობლემები

თემურ მარშანიშვილი



გასულ ოთხშაბათს ოზურგეთის ავტოსადგურში მანუჩარ ბალოტელი გავიცანით, უფრო სწორად, თვითონ გაგვეცნო. ამ გვარის მატარებელი, იტალიაში მოღვაწე ფერადკანიანი ფეხბურთელისგან განსხვავებით, ქართველი ბალოტელი, როგორც მან გვითხრა, ურეკში, შუაგულ „ბალოტში" ცხოვრობს და ამიტომ მოირგო ფსევდონიმად ცნობილი მობურთალის გვარი. მანუჩარი მეორე დღისთვის კურორტზე მეგზურობასაც შეგვპირდა, მაგრამ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სიტყვიდან გადავარდა, შესაძლებელია იმის შიშით, რომ სურათზე, რომელსაც თქვენ ახლა გაზეთის პირველ გვერდზე ხედავთ, ფოტოშოპის საშუალებით, ლოტოსის ფოთოლი არ დაგვეხატა და ზედ „ბალოტელად" წოდებული არ დაგვესკუპებინა ბაყაყივით. მოკლედ, მანუჩარსა და მის ადგილსამყოფელს ვერ მივაკვლიეთ, თორემ სიგრძეში ჯამურად დაახლოებით სამკილომეტრიანი ჭაობი სად გაგვექცეოდა?! რაც უნდა დაუჯერებელი გეჩვენოთ, ეს ჭაობი ურეკშია, ზღვისპირა ზოლიდან, ალბათ, სულ რაღაც 300 მეტრის დაშორებით და იგი, მსუბუქად რომ ვთქვათ, კოღოების ქვეწარმავლებისა და მღრნელების საბუდარია, ჭაობისთვის დამახასიათებელი მყრალი სპეციფიკური სუნით.

ჩვენი პირველი რესპოდენტი ქუთაისელი ნ.კ (სახელისა და გვარის დასახელებისაგან თავი შეიკავა) საოჯახო ტიპის დასასვენებელი ტყუპი სახლების მფლობელია, შიშობს, რომ ერთი გაწვიმებაც და ჭაობის ბლანტი სითხე მისი ეზოს ჭიშკარს ჭიშკარსაც მიადგება:

***„ჭაობი უძახეთ თქვენ და მთელი ეს ტერიტორია ნაკვეთებად არის გაცემული. როგორც ამბობენ, რეესტრში ამ ნაკვეთების მეპატრონეებად ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლებიც არიან დარეგისტრირებული. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, მე ჩემი პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი ამ წვიმებზე ეზო დამეტბორა, ერთი წვიმაც და ამ ტბორს ეზოშიში ჭაობის ბლანტი სითხეც შემოუერთდება. სანიაღვრე არხი იჭედება ყოველთვის. კოღოს საწინააღმდეგო შეწამვლები კი ჩაატა-***

▶▶▶ გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოთშაბათი ალიონზე

«ალიონით»

## ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იწყება



ოზურგეთში 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია იწყება. გასულ ხუთშაბათს, ამ თემასთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი **არჩილ თალაკვაძე**, განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე **თემურ მურღულია**, გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე,** გუბერნატორის მოადგილე **არჩილ ყაზაიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ოზურგეთის მერის მოადგილე **ოსიკო თოთიბაძე** სკოლაში იმყოფებოდნენ.

მათ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, პრობლემების გადაჭრის გზებზე ისაუბრეს და შეხვდნენ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს **ლელა იმედაშვილს**, სკოლის დირექტორს **მაია თავართქილაძეს** და მასწავლებლებს.

სკოლის რეაბილიტაციისთვის პროექტი მიმდინარე წლის სექტემბრამდე მომზადდება.

როგორც თემურ მურღულიამ აღნიშნა, სკოლის გარემონტება ეტაპობრივად მოხდება. პირველ რიგში რეაბილიტაცია სპორტულ დარბაზს ჩაუტარდება.

## უპოვართა სასადილო დროებით დაიხურა

**ალიონი**. სურსათის უვნებლობის სამსახურის გადაწყვეტილებით ოზურგეთის უპოვართა სასადილომ დროებით შეწყვიტა მუშაობა. მიზეზი სანიტარულ-ჰიგიენური წესები დარღვევაა. ასევე შენიშვნები აქვთ ინფრასტრუქტურული კუთხით.

უპოვართა სასდილოს ბენეფიციარებს დროებით ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე საბანკეტო დარბაზი „რიო“ მოემსახურება.

ოზურგეთის უპოვართა სასადილოში ამჟამად 170 ბენეფიციარია, რაზედაც ადგილობრივი ბიუჯეტით წელს 120 ათასი ლარი დაიხარჯება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ყოველდღიურად ერთ ბენეფიციარზე 2 ლარს ხარჯავს.

## თვითმკვლელობა სოფელ ნატანებში

**ალიონი.** სოფელ ნატანებში უბედური შემთხვევა მოხდა.სოფელ შრომის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ, 16 წლის გოგომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

თვითმკვლელობის მიზეზად რამდენიმე ვერსიას განიხილავენ, მათ შორის ახალ ინტერნეტ თამაშს.

გავრცელებული ინფორმაციით გოგონამ სიკვდილის წინ წერილი დაწერა.

შსს ინფორმაციით მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სსკ 155-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანს გულისხმობს.

გაზეთი „ალიონი“ გარდაცვლილი ნ.ბ-ს შესახებ სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორს რუსუდან ცეცხლაძეს ესაუბრა.

–გაოგნებული ვართ. კარგი ბავშვი იყო, კეთილშობილი, სიყვარულით სავსე, მომღერალი, მოცეკვავე. სტაბილური ოჯახი, მშობლები შესანიშნავი ხალხი. მამა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მუშაობს, დედა - ურეკის კულტურის სახლში. ქალბატონი თ.ძ. რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

რა მოხდა, ვერ წარმომიდგენია, მხიარული, ქარიზმატული, ყველას უყვარდა.ნანა სამხარაძის სადამრიგებლო კლასში სწავლობდა. არაფერი შეგვიმჩნევია. კლასის დამრიგებელთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. კარგი მოსწავლე იყო. მეტს ვერაფერს გეტყვით – გვითხრა სოფელ შრომის საჯარო სკოლის დირექტორმა რუსუდან ცეცხლაძემ.

**გაზეთ „ალიონის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.**

## ურეკელი მაშველები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ

**ალიონი**. გასულ ხუთშაბათს დაბა ურეკში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ურეკის სამაშველო ბაზის(ხელმძღვანელი ნუგზარ სანიკიძე) მაშველები მოვინახულეთ. როგორ გვითხრეს, ისინი 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავთ ზღვაზე მყოფი დამსვენებლები.

როგორც საგანგებო სიტუაციის მართვის სააგენტოს პრესსამსახურის უფროსმა მიშა ფექირიშვილმა გვაცნობა, წელს შავიზღვისპირა ზოლში (აჭარა, გურია, სამეგრელო) 200 მაშველი მუშაობს. მათი კარგი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა უბედური შემთხვევები შავ



ზღვაზე. 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე მათ 145 ადამიანის გადარჩენა შეძლეს. სამწუხაროდ 8 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის დაბა ურეკის ტერიტორიაზეც იყო ერთი მსხვერპლი.დაიღუპა 13 წლის ბავშვი.

## ოზურგეთელი ზაზა მუჯირი სტიქიისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციას, დასაქმებასა და საკუთარი ეზოს წინ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთათვის განკუთვნილი პარკინგის გაუქმებას ითხოვს



შემოვსულვარ. დედა 80 წლისაა, 42 წლის მანძილზე ინტერნატში მოღვაწეობდა, ყველანი დასაქმებული ვიყავით, საშუალო ფენას წარმოვადგენდით, რომელიც გააქრეს. არსებობს ასეთი პროექტი „ინფრა, რომელიც გულისხმობს სახლის რეაბილიტაციას. აქ ბრძანდებით, როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარმომადგენლები, ამიტომ მე, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი, სოციალურად დაუცველი ადამიანი, ზაზა გურამის ძე მუჯირი კი არ ვითხოვ, მოვითხოვ, რომ ჩემს სახლს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია.

14 ივნისს შევიტანე მუნიციპალიტეტის მერის სახელზე განცხადება, არავინ არ მოსულა. ყოველი წვიმის დროს ამ თქვენი შენობიდან დაქანებული წყალი ტბორავს ჩემი სახლის პირველ სართულს. ორივე სართული სტიქიამ დააზიანა. მობრძანდით, ბატონებო, და ნახეთ, ჯიპი არ გჭირდებათ, ორ ნაბიჯზე ვარ აქედან. კაცმა არ იცის, თქვენ ხვალ სად იქნებით, მთავარია, გააკეთოთ და სიკეთე თესოთ, ბოლო ჟამია და უფალი დაგიფასებთ.

ახლა რაც შეეხება პარკინგს: წლების მანძილზე აყენებთ მანქანებს ჩემი სახლის წინ, კეთილი ინებეთ და გადამიხადეთ, დაუსაქმებელი ვარ, თუ არადა, მოაშორეთ თქვენი მანქანები იქაურობას. შეგიძლიათ სხვაგან გამონახოთ ადგილი, მაგრამ წლების განმავლობაში რომ ჩემთან აყენებდით, იმისი გადამიხადოს მუნიციპალიტეტმა, ხელფასიც მექნება და ანაზღაურებაც.

ისე, რატომ არ უნდა დამასაქმოს მინიციპალიტეტმა? საინტერესოა, საერთოდ, პროგრამაში თუ გააჩნდათ და გააჩნიათ ასეთი მუხლი. ვნანობ, რომ „ქართულ ოცნებას“, ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს მივეცი ხმა, პირდაპირ ვიტყვი, მან ამოიღო და 100 ლარი მაჩუქა. მე არ ვარ მათხოვარი, მე ვარ მთხოვნელი, სრულუფლებიანი საქართველოს მოქალაქე. თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, მოქალაქეებზე ფულადი დახმარება არ გაიცესო. თუ მხოლოდ სოციალური დახმარება ყოფნის ჩემნაირ ადამიანს, ის 150 ლარი იმყოფინეთ თქვენ და მომეცით მე თქვენი ოთხციფრიანი ხელფასი“...

ჟურნალისტის კითხვას თუ როდის აჩუქა ბატონმა კონსტანტინე შარაშენიძემ 100 ლარი, არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ, ზაზა მუჯირმა ასეთი პასუხი გასცა:

„როდის მაჩუქა და გეტყვით, დაახლოებით ივლისში, არჩევნებს შემდეგ. ეს იყო პიროვნული ჟესტი და მადლობელი ვარ მისი, მერე მეორედ რომ შევხვდი, ხომ გაჩუქე, მეტი არ მაქვსო, მითხრა. მხოლოდ ლელა საჯაია მექცეოდა ღირსეულად. გაჭირვებული ოჯახია და დაეხმარეთო, ყველას მოუწოდებდა. ხორციელდებოდა დახმარება და შემდეგ შეჩერდა. მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, საკუთარი თვალით ნახეთ ჩემი საყოფაცხოვრებო პირობები, ვცხოვრობ უკიდურეს გაჭირვებაში.

მე არ მინდა მერსედესები, ფუფუნება და ოქროს საგნები. მე მინდა საშუალო ფენა ვიყო, მინდა, ვცხოვრობდე და ვმოღვაწეობდე. თუ ვინმეს ჩემში ეჭვი ეპარება, დამიმეგობრდეს და ნახოს ჩემი სტატიები, უამრავ ცნობილ ადამიანთან, ქართველ მოღვაწესთან მაქვს შეხება, ურთიერთობა. ვმოღვაწეობ ფეისბუკით, მაგრამ ფეისბუკით მოღვაწეობა უფასოა და ადამიანს უნდა ცხოვრება. ამისათვის საჭიროა ხელის ჭუჭყი, რომლისგან ეს სიბინძურეები ხდება, ფული ეშმაკის მოგონილია. დამასაქმეთ, მომეცით სამსახური, მომეცით ხელფასი. შეამოწმეთ ჩემი სახლი. აქვე გეტყვით, რაც ერთხელ ოსიკო თოთიბაძემ მითხრა: რომ დაიტბორება, ფაქტზე მოვალ და ვნახაო. წვიმა მე არ მითანხმდება, რომ სამუშაო საათებში მოვიდეს და ოსიკო გამოიყვანოს კაბინეტიდან. ამ ადამიანებმა კეთილი ინებონ და თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ“.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ ზაზა მუჯირს განუმარტა, რომ ბატონი კოტე „ქართული ოცნების“ კანდიდატი არ ყოფილა:

„ისე, ცნობისათვის უნდა გითხრათ, რომ კოტე შარაშენიძე „ქართული ოცნების“ კანდიდატი არ ყოფილა“.

დასასრულს ზაზა მუჯირმა დასძინა, რომ მისთვის არაერთხელ გაუწევია დახმარება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილ ხელმძღვანელებს:

„შარშან, 30 აგვისტოს 400 ლარით დამეხმარენ, ჯიბიდან არ ამოუღიათ, ბიუჯეტიდან გამომიყვეს, ადამიანურად გაითვალისწინეს ჩემი მდგომარეობა და უმადურობა იქნება, ეს რომ არ ვთქვა. ადამიანი ვარ, მათგან კარგიც მახსოვს და ცუდიც“.

# სიტყვიდან გადავარდნილი ურეკელი ბალოტელი და უბალოტელოდ დანახული კურორტის პრობლემები



რეს, მაგრამ ახლაქ ვეწარმავლები მომრავლდა. იყო შემთხვევა, ჭაობიდან რომ ეზოში შემოაღწია. არ გვაქვს წყალი, არ გაშვებულა კანალიზაცია, მივესალმებით იმას, რომ მიმდინარეობს გაზიფიცირების სამუშაოები“.

წარმოშობით სოხუმელი, ამჟამად თბილისში მცხოვრები, პოლკოვნიკი **კობა ხარაიშვილი** ურეკში სასტუმრო ,,ნოდმაქსის“ მეპატრონეა.

,,ომის ვეტერანი ვარ, პოლკოვნიკი. აფხაზეთის ომის დროს მძიმედ დავიჭარი და ექიმებმა მირჩიეს, ურეკის უნიკალური ქვიშა გამომეყენებინა. შეიძლება ითქვას, რომ აქაურმა ჰავამ და ქვიშამ განმკურნა. ჩემი მეუღლე კინდღიდანაა და იცის თქმა, ურეკის სანაპიროს ყოველთვის კინდღისას ამსგავსებდა. ძალიან მოსწონს აქაურობა.მიწის ნაკვეთი ვიყიდე და ეს სასტუმრო ავაგე აგვისტოს დასაწყისში მოსულმა ნალექმა ხუთივე კოტეჯი დამიტბორა. დატბორა მიზეზი ის არის, რომ ჭაობში, რომელიც გარს აკრავს ურეკის მე-2-3 ზოლს, გზის გაყვანისას მილები მაღალზე ჩადეს და აქ შეკრებილ წყალს გასასვლელი არ დაუტოვეს, ამდენი ნალექი ვერ გაატარა, არადა, იგი წყალშემკრებია. ახლა მას ,,ტაშტის“ ფორმა აქვს,წყალი გროვდება და ვერ ატარებს.ეს პრობლემა ბოლო 5-6 წელია ასეთი დატბორვისას სასტომრომდე მოსასვლელი გზა ირეცხება.მე პირადად ყოველწლიურად 700-800 ლარს ვხარჯავ წყალდიდობის შედეგად წალებული გზის აღსადგენად.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, როგორც ხედავთ ბუნებრივი აირი შემოჰყავთ. ჩაირთვება წყალი და კანალიზაციის ქსელიც ამოქმედდება. კოღოს წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამით ჩატარდა და ჩვენი ძალებითაც ტარდება ღონისძიებები. შედეგად კოღო არც ჩვენ გვაწუხებს და არც ჩვენს დამსვენებელს ჭაობის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე ვატარებთ ქვეწარმავლების საწინააღმდეგო ღონისძიებებს“

შემდეგი რესპოდენტი სასტუმრო ,,მარის“ მეპატრონე **გელა ნაცვალაძე** აღმოჩნდა, რომელსაც, როგორც თვითონ თქვა, მიშას მთავრობამ მოსამართლეობა წაართვა, ,,ქართულმა ოცნებამ“ კი ადვოკატობაზე აალებინა ხელი:

,,ერთ-ერთი აქტიური მხარადამჭერი ვიყავი ,,ქართული ოცნებისა“. იყო საუბრები, რომ გურიაში პროკურატურას ვუხელმძღვანელებდი, სინამდვილეში მიშას მთავრობამ მოსამართლეობა წამართვა, ,,ქართულმა ოცნებამ“ კი ადვოკატობისთვის დამანებებინა თავი. 4 წელია, რაც აქ ჩამოვედი და საოჯახო ტიპის სასტუმრო ავაშენე.

ეს ჭაობი რეკრიაციული ზონა იყო. ახლა ნაკვეთებადაა გაცემული. მე თუ მკითხავთ, სახელმწიფომ ამ საკითხზე, რეკრეაციული ზონების შენარჩუნებაზე სპეციალური განკარგულება უნდა მიიღოს. ადრე აქ წყალგამტარი დიდი არხი იყო, ახლა სამ კილომეტრამდე სიგრძის ჭაობია სანაპიროდან 300 მეტრში.ძლიერი წვიმის დროს ახლო-მახლო ყველას პრობლემა ექმნება, მაგრამ განსაკუთრებით ჩემს სასტუმროს. კარგი ქნებოდა, როცა ვაშენებდი ფუნდამენტი ერთი მეტრით მაინც ამეწია.ჭიშკრის საყრდენ მილზე ნახვრეტებს ხომ ხედავთ?. ამ ნიშნულს ეზოში წყლის დონის მატებისას ვაკეთებ. შარშან ფაქტიურად მთლიანად დამიტბორა პირველი სართული ორი ძლიერი ტუმბო მაქვს, მაგრამ წყალდიდობის დროს ელექტროენერგია გამოირთო და ვერ შევძელი ამოტუმბვა. მწყობრიდან გამოვიდა პირველ სართულზე არსებული ელექტროტექნიკა. ამ პრობლემების შესახებ ვესაუბრე გუბერნატორს, სხვა თანამდებობის პირებს, მაგრამ...“

ერთ-ერთმა დამსვენებელმა ხელებიც კი გასავსავა და გვითხრა, რომ ასეთი რამ არსად უნახავს:

,,არ დაიჯეროთ, რომ ეს ჭაობის წყალია, ჭაობიდან ფეკალიები გადმოედინება, ყარს აქაურობა. არა - გზა, არა -წყალი, კოღოები, ქვეწარმავლები, სასტუმროში პირველ სართულზე დავბინავდი, ღამით ხმაურმა შემაწუხა, შუქი ავანთე და იატაკზე პატარ-პატარა ბაყაყები დახტუნავდნენ. რამდენიმე ქვეყანაში ვყოფილვარ დასასვენებლად, მაგრამ ასეთი რამ არსად მინახავს“

მოსახლეობის ერთი ნაწილის აზრით, **ფედია ნაგუსკის** სასტუმროს მშენებლობამ, ჩაკეტა ჭაობიდან წყლის საწრეტი ერთადერთი არხი:

,, ურეკში სასტუმროების მშენებლობის ისეთი ბუმია, რომ იგი საკურორტო სეზონშიც აქტიურად მიმდინარეობს. ერთ-ერთი ასეთია ფედია ნაგუდსკის სასტუმროს მშენებლობა. სწორედ ამ მშენებლობამ ჩაკეტა ჭაობიდან წყლის საწრეტი ერთადერთი არხი“.

ჩვენი იქ ყოფნის დროს სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა, ობიექტზე არც მშენებელი იყო და არც დამკვეთი.

სასტუმრო ,,პრიმას“ მფლობელი **ქეთევან ჯინჭარაძეც** ანალოგიურ პრობლემებზე, გვესაუბრა, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, რამდენიმე პრობლემური საკითხი მან თვითონვე მოაგვარა:

,,ეს სასტუმრო თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ, მეორე ზოლში მდებარეობს, 2000 წელს აშენდა. ბოლო წლებში სასტუმროს პირველი სართული წყლით ივსებოდა და ეზო იტბორებოდა, შენობის საძირკველს საფრთხე ექმნებოდა. ამიტომ მოვზვინეთ ეზოს ტერიტორია და მიწაყრილი ერთი მეტრით ავწიეთ.

არის კოღოების პრობლემა. სასტუმროს ყველა ოთახში ფანჯრები სპეციალური ბადეებით აღვჭურვეთ. მართალია, სახელმწიფო პროგრამით ხდება ჭაობის დამუშავება, ჩვენც, საკუთარი სახსრებით ,ვახდენთ შეწამვლებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არასაკმარისია. არის ქვეწარმავლების პრობლემაც, პერიოდულად ჭაობიდან მოდის არასასიამოვნო სუნიც.

ჯერჯერობით არც კანალიზაციაა მიერთებული და არც წყლის სისტემა მუშაობს. გვაქვს ჭაბურღილები, რომლებსაც ყოველდღიურად 2 მომსახურე პირი სჭირდება. ბუნებრივი აირი ჭიშკრამდე მოიყვანეს.. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად შეღავათიან სესხებს იძლეოდნენ“.

**ამირან კილურაძეს** მკითხველისათვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ჩვენი კოლეგა, რომელიც ტვ-12-ზე ორ საავტორო გადაცემას უძღვება, ურეკში ცხოვრობს, არის სასტუმრო ედემის“ მეპატრონე და ზედმიწევნით იცის აქაური პრობლემები. ამირანმა ისიც გვითხრა, რომ ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთისათვის თვითონაც ამზადებს წერილს და თეზისებად ჩამოგვითვალა ის საკითხები, რაზედაც გაამახვილებს ყურადღებას ამ წერილში:

,,გარევაჭრობამ წალეკა მთელი კურორტი, მაგრამ რასაც აქ ვხედავთ, ეს ნამდვილად არ არის გარევაჭრობა, თქვენ დაარქვით სახელი. ცენტრალურ, თაყაიშვილის ქუჩაზეც კი არ არის ტროტუარები. ფეხით მოსიარულეთა ბილიკები სავაჭრო ჯიხურებს და ინდ. მევაჭრეებს უკავიათ.

ნახეთ, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ტაქსისტები ურეკში არიან თავმოყრილი. საკურორტო სეზონის განმავლობაში მანქანებში იძინებენ. როგორ უნდა მოემსახურონ ისინი დასვენებლებს?! გარდა ამისა, არიან სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული ტაქსისტები.. სომეხი ტაქსისტები ემსახურებიან ერევან-ბათუმის მატარებელს.სრული ქაოსია. აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ტაქსების რეგისტრაცია.

სასტუმროს წინ გაშენებული ყვავილები გადამიჭამა პირუტყვმა, ანალოგიურ სიტუაციაში სხვა გაზონებიც. ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საკურორტო ტერიტორიაზე პირუტყვის გადაადგილების აკრძალვის შესახებ და უნდა შემოიღოს შესაბამისი სანქციები.

იმის გამო, რომ მოცემულ ვადებში არ დასრულებულა დაბა ლაითურში წყალსაქაჩისა და წყალშემკრების მშენებლობები, ურეკში ექსპუატაციაში ვერ შევიდა წლისა და კანალიზაციის სისტემები. კურორტზე გამართულად მუშაობს მხოლოდ ,,ენერგო-პრო ჯორჯია“.

ხმაურის გამო უცხოელი ტურისტები გარბიან კურორტიდან. 1 ივნისიდან ძალაში შევიდა კანონი ხმაურის შესახებ. აქვთ თუ არა დეციბალების განმსაზღვრელი ხელსაწყო? თბილისსა და ბათუმში ამ საკითხს მუნიციპალიტეტების ზედამხედველობის სამსახურები არეგულირებენ. ურეკში კი არავინაა განმკითხავი.

პარადოქსული ფაქტი: ურეკში, საკურორტო ზოლში საპატრულო პოლიცია არ შემოდის, მხოლოდ დაბა ურეკის პოლიციის ქვეგანყოფილების ფეხოსნები დადიან

საქართველოს კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს მდინარეების, ღელეების, რუს კალაპოტების გაცემა კერძო საკუთრებაში, ნაპირიდან 40 მეტრის მანძილზე, ურეკში კი ჭაობი გადაკეტეს და სასტუმროებს აშენებენ. ეს ჭაობი არის ბუნებრივი წყალშემკრები; მშენებლების მიერ ჩადებული მილი წყალს ვერ ატარებს წვიმიანობის დროს.

ცალკე თემაა მაკლერები, რომლებიც ისე მომრავლდნენ, რომ სასტუროებამდე დასსვენებელი ვერ აღწევს

მიუხედავად იმისა, რომ კურორტი გადატვირთულია ტრანსპორტით, მაგნეტიტში საგზაო ნიშნების ნაკლებობაა, შესაბამისად ავტოსაგზაო შემთხვევების რისკიც მაღალია“.

რესპოდენტებისგან საკმაოდ დატვირთული, დღის ბოლოს მივადექით ურეკის ტერიტორიულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს **დავით რობაქიძეს,** რომლისთვისაც ზემოაღნიშნული პრობლემები სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა:

,,ეს ჭაობი არ არის ბუნებრივი (რესპოდენტების თქმით, ბუნებრივია. - რედაქცია)); არ ვიცი, ვინ და რა პირობით გასცა ჭაობის ტერიტორია. გაჰყავთ გზები, ინერტული მასალებით მოზვინულია ჭაობის 30 პროცენტი; საწრეტი არხები არ მუშაობს, წყალი ვერ აღწევს მდინარე სეფამდე და კუჩხის აბანომდე; ჭაობი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი და შექმნილია რეზერვუარები, რომლებიც წვიმის დროს ნალექს არ ატარებს. იტბორება 4-5 სასტუმროს ტერიტორია; რამდენადაც ვიცი, ჯერჯერობით არ არსებობს არანაირი პროექტი, ასეთ პროექტს ეკონომიკის სამინისტრო ამტკიცებს, ეს არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივა.

რაც შეეხება წყალსა და კანალიზაციას, იცით თქვენ, რომ დაბა ურეკსა და შეკვეთილში კანალიზაციისა და წყლის დიდი პროექტი ხორციელდებს. შარშან ზაფხულში, საკურორტო-ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით სამშენებლო ორგანიზაცია ,,ფერის“ შეაჩერებინეს მუშაობა, რამაც გამოიწვია ვადების დარღვევა. მომავალი ზაფხულისთვის პროექტი დასრულდება. ცენტრალური მაგისტრალები გაყვანილია, შემდეგში მოხდება მოსახლეობასთან მიერთება.

ფედია ნაგუსკის მშენებარე სასტუმრო ნამდვილად არ არის ჩამკეტი. პირიქით, მეპატრონემ არხი გააკეთა ჭაობიდან წყლის გასატარებლად.

ფეკალური მასა ჭაობში არ ჩაედინება, ყველას აქვს ქსელი ცალკე ფეკალური მასისთვის და ცალკე საყოფაცხოვრებო წყლისთვის. აი, საყოფაცხოვრებო წყლები კი ნამდვილად ჩაიდინება ჩაედინება და სუნიც იქნება, რასაკვირველია.

კოღოს წინააღმდეგ ბევრი ღონისძიება განხორციელდა 3-ჯერ ჩავატარეთ თერმული შეწამვლა. წინა კვირაში ღამის 3 საათიდან დილის 8 საათამდე 4 ეკიპაჟი მუშაობდა შეწამვლაზე.

ყველაზე დიდი პრობლემა ახლა ურეკში შიდა გზებია და სანამ კანალიზაცია და წყალგაყვანილობა არ მოწესრიგდება, მანამ ვერ გადაიჭრება ცენტრალური და შიდა გზების საკითხი.

გეთანხმებით, რომ საპატრულო არ შემოდის, მაგრამ ადგილობრივი ფეხოსნები მუშაობენ; არ დაგვჭირვებია და არც ყოფილა საპატრულოს გამოძახების შემთხვევები. რაც შეეხება ხმაურს,ამჟამად ღამის 12 საათის შემდეგ საკურორტო ზოლში ხმოვანი მუსიკა არაა ჩართული. დეციბალების შემოწმება კი, თუ არ ვცდები, თვით აპარატურითაც არის შესაძლებელი

მართალი გითხრათ, არ ვარ ჩართული ტაქსების რეგულირებაში; არავინ მეკითხება.

რაც შეეხება პარკინგს, ჩემი აზრით, იგი რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს.

პლაჟზეც მკითხავთ, ალბათ, და წინდაწინ გეტყვით, რომ იგი ყოველდღიურად, დილის 6 საათიდან იწმინდება“.



# შეისწავლის თუ არა ადგილობრივი და ცენტრალური აუდიტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობრივი სარგოების გაცემისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების საკითხებს



ეს ჩემი ვარაუდი არის, რომ საკმაოდ დიდ თანხებთან გვაქვს საქმე, თუმცა ველოდები თქვენგან კონკრეტული თანხების დასახელებას. ვფიქრობ, შესაბამისი კომისიები ამას ძირფესვიანად შეისწავლიან. ჩემი აზრით, უფრო მძიმე სურათი გვაქვს, ვიდრე ამას თითოელი ჩვენგანი ვფიქრობთ და ვამჩნევთ.

**ლაშა თავაძე:** რაც შეეხება თქვენი შეკითხვებიდან ფინანსურ მხარეს, მაგაზე მე ვერ გაგცემთ პასუხს და შესაბამისად...

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *მაშინ შესაბამისი ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო...*

**ლაშა თავაძე:** კი, *შესაბამისი სამსახური გაგცემთ პასუხს. რაც შეეხება შეცდომას, ვფიქრობ, რომ აქ შეცდომა არ მომხდარა. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ გაერთიანდა ორი მუნიციპალიტეტი, ორივეში თვრამეტი სამსახური იყო და თვრამეტივე ხომ ვერ შენარჩუნდებოდა? ყველა თავის კატეგორიას და თავის რანგს მიადგა, მაგრამ კანონი დაირღვა და კანონის დარღვევით მოხდაო, არ მომხდარა.*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *ვფიქრობ, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, ამაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს ადგილობრივი და ცენტრალური აუდიტის სამსახურები, საკითხი შესწავლილ უნდა იქნას ძირფესვიანად. ეს არ არის ასე მარტივი თემა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სერიოზული ზიანი მიადგა.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით მინდა განმარტება გავაკეთო, ბატონმა ბესომ დასვა საკითხი, ამაზე არაერთხელ გვიმსჯელია ჩვენ, მე პირადად და შესაბამის კომისიასაც, რომელმაც საშტატო ნუსხის დადგენილების პროექტზე იმუშავა და საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა. გეტყვით და განგიმარტავთ, რათა ყველაფერი იყოს ნათელი: 2018 წლის 18 იანვარს, №5 დადგენილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა საშტატო ნუსხა და შესაბამისად განსაზღვრა თანამდებობრივი სარგოები.*

*მაშინაც განვმარტე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ამტკიცებს საშტატო ნუსხას და არ ამტკიცებს პიროვნებებს, ასე ვთქვათ, არ ანიჭებს მათ კატეგორიებს. პოზიციას ენიჭება კატეგორია, პოზიციას ენიჭება რანგი. და იქაც ვთქვით, რომ მობილობა უნდა ჩატარდეს ამ რანგებისა და ამ კატეგორიების შესაბამისად. თუმცა, მე თან მაქვს საჯარო სამსახურის ბიუროდან მოსული წერილი და მინდა იგი თქვენც გაგაცნოთ. ეს წერილი არის 2018 წლის 16 იანვარს გამოგზავნილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, სადაც საჯარო სამსახურის ბიურო კონკრეტულად მიუთითებს მერიას, რა უნდა გააკეთოს: საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა თქვენ მიერ ბიუროს მობილობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია. როგორც აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, გარკვეულ თანამდებობებზე მოხელეები მობილობის წესით დაინიშნენ უფრო მაღალ თანამდებობაზე.საჯარო სამსახურის შესახებ მოქმედი კანონით კარიერული განვითარება ხდება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე, მობილობა კი გულისხმობს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ლიკვიდაციის ანდა მისი სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებისას შესაბამისი მოხელის იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას ან უფრო დაბალ თანამდებობაზე გადაყვანას.*

*მე მგონი, ძალიან გასაგებად, ნათლად ჩამოაყალიბა საჯარო სამსახურის ბიურომ, რა უნდა გაეკეთებინა მუნიციპალიტეტის მერიას ორი დღით ადრე, ვიდრე საშტატო ნუსხა იქნებოდა დამტკიცებული საკრებულოს მიერ. შესაბამისად აი, ეს პროექტირება უნდა მოეხდინათ თუ ვინმე პოზიციებზე გათვალისწინებული ჰყავდათ, პიროვნებები და ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული, მათ უნდა განსაზღვრონ ფუნქცია-მოვალეობის მიხედვით კატეგორია და რანგი. პირობითად ეს შეცდომა მოხდა, დაიშვა ეს შეცდომა, მობილობის პროცესში დაინიშნენ ადამიანები უფრო მაღალ თანამდებობებზე და მიზეზია, რომ თურმე ჩვენს მუნიციპალიტეტში უფრო დაბალი რანგი და კატეგორია იყო და იგივე პოზიციაზე იგივე ფუნქცია-მოვალეობებით უფრო მაღალ რანგსა და კატეგორიაზე მუშაობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, აქ კანონმა დაუშვა ესეთი გამონაკლისი გარდამავალი პერიოდისათვის, იმისათვის, რომ ეს იყო საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი და ამისი პრაქტიკა არ არსებობდა, მიეცა კიდევ ერთხელ ყველა უწყებას საშუალება, რომ დაშვებული ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა ჰქონოდა 2018 წლის 1 აპრილამდე. უფრო მეტიც, 2018 წლის პირველ აპრილამდე ყველა უწყებას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ 2017 წელს განხორციელებული რანგირება შეეცვალა, დაეკორექტირებინა და ის რანგირებაც კი დაესაბუთებინა საჯარო სამსახურის ბიუროს წინაშე და ახალი რანგი და კატეგორიები მიენიჭებინა, თუ რაიმე ხარვეზს ხედავდა შიგ. ეს ვადაც ხელიდან იქნა გაშვებული, სამწუხაროდ, და დღეს მეგობრებიდან ვიგებთ, რომ თურმე საკრებულომ პიროვნებები დანიშნა თანამდებობებზე. პიროვნებები ჩვენ არ დაგვიმტკიცებია თანამდებობებზე, თუნდაც ესე დაგვემტკიცებინა, ეს რანგი და კატეგორია დათვლილი გვქონდა, ბიუჯეტის სახელფასო ფონდი დათვლილი გვქონდა და შესაბამისად შტატი იყო დამტკიცებული. თუ მობილობით პიროვნება ვერ აკმაყოფილებდა პირობითად უფრო დაბალ რანგზე მუშაობას, შესაძლებელი იყო ამ პოზიციაზე კონკურსი გამოცხადებულიყო, ნაცვლად იმისა, რომ სადაც მობილობა შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო, იქ ჩააბეს, ასე ვთქვათ, მობილობის პროცესი და გამოცხადდა ახალი ვაკანსია. ასე იყო ეს, ბატონო ბესო, რომ იცოდეთ.*

*ამის შემდეგ ჩვენ არაერთხელ მივმართეთ, ეს ოქმებშიც არის დაფიქსირებული, კომისიის სხდომებზე, ბიუროს სხდომებზე, საკრებულოს სხდომებზე, რომ ეს პროცესი გასწორებულიყო და პირადადაც ბევრჯერ მისაუბრია ამ საკითხზე. ამის შემდეგ 24 აპრილს ვიღებ მუნიციპალიტეტის მერიისგან წერილს (ვადაზეც ბევრჯერ მივუთითეთ), რომელშიც გვთხოვდნენ ახლა რომ პროცესზე ვსაუბრობთ, იმ პროცესის გასწორებას, რომელიც საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დგება და დღეს არ მტკიცდება. დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა, თუმცა 28 მაისს მივიღეთ ისევ წერილი, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შევიდა ცვლილება და არავაკანტური თანამდებობის კატეგორიის შეცვლა არის რეორგანიზაცია და შესაბამისად ამას სჭირდება რეორგანიზაციის გეგმა თავისი ვადებისა და რეორგანიზაციის დასრულების პროცესის მითითებით და შეაჩერა, გამოითხოვა მუნიციპალიტეტმა ეს პროექტი უკან. ახლა უკვე 2018 წლის 26 ივლისს მივიღეთ ახალი წერილი, რომ განვაახლოთ ამაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. აი ის პროცესი, რაც მე გითხარით. ამაზე ჩვენ არაერთხელ მივუთითეთ, დათვლილი გვაქვს კიდეც, 6400 ლარი არის გადახდილი თვეში ნამეტი თანხა. ადამიანებს პასუხის გაცემა უნდათ, ვისი შეცდომა იყო, რატომ მოხდა ეს და რა პროცესები იქნება მომავალში.*

*გუშინ ბიუროს სხდომაზე დავუსვი ბატონ ლაშას ეს შეკითხვები და დღესაც ვუსვამ: რატომ იქნა უგულველყოფილი საჯარო სამსახურის ბიუროს 16 იანვრის წერილი, რატომ იქნა პირველი აპრილის ვადა გაშვებული, რატომ მოხდა საჯარო წარმოების შეჩერება თუ სხვა ცვლილებები აღარ გვქონდა და რატომ გადაიწია ამ პროცესმა სექტემბრისთვის? რა ელოდება იმ 40 ადამიანს, ვინც ამ პოზიციებზე მუშაობდნენ?*

**ბესო ქათამაძე:** *ეს წერილი, ბატონო გიორგი, თქვენთვის 16 იანვარს გახდა ცნობილი? რატომ არ დადგა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ეს საკითხი?*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *მე არაერთხელ დავაყენე ეს საკითხი.*

**ბესო ქათამაძე:** *მე არ მომისმენია და თუ ვინმემ მოისმინა, მინდა დააფიქსიროს თავისი აზრი.*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *ბესო, თქვენ რაც გსურთ, მხოლოდ იმას ისმენთ.*

**ბესო ქათამაძე:** *ნურას უკაცრავად, მარიკა. თქვენგან განსხვავებით ხელს არ ვწევ ყველაფერზე.*

**ხათუნა ცერცვაძე:** *ბატონო ბესო, კონკურსები რომ ტარდებოდა არასწორად, მაშინ სად იყავით, რატომ არ იღებდით ხმას? აი, ნატო ხომერიკი რომ ასე გაიმეტეს, რატომ არ თქვით არაფერი?*

**ბესო ქათამაძე:** *თქვენგან განსხვავებით, ყველაფერზე ვაფიქსირებ პოზიციას. წინა კვირაში ხელი რომ აუწიეთ პარკირების გაძვირებას, იმ ხალხზე რატომ არ იფიქრეთ, ვინც ამის გამო დაზარალდება? თუ თქვენი ინტერესი არ არის?*

**ლაშა თავაძე:** *პირველ რიგში, ვადებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციის გაზიარება მოხდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. დაგვიანებით რატომ მოხდა წარმოდგენა: მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის მერიას აქვს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება როგორც საშტატო ნუსხაში შეტანასთან, ასევე სხვა მიმდინარე საკითხებთან მიმართებაში. როცა შესაძლებელი გახდა პროექტს საბოლოო სახე მისცემოდა, წარმოდგენილი იქნა აპრილის თვეში, როგორც ბატონმა გიორგიმ განმარტა, ჩვენ მიერ, ანუ როცა შემუშავდა ეს პროექტი და პროექტმა მიიღო საბოლოო სახე. მოგეხსენებათ, რომ ეს ნორმატიული აქტის პროექტია, შესაბამისი განხილვა უნდა, ერთ დღეში შემუშავდეს ყოვლად შეუძლებელია, გამომდინარე აქედან, როცა ჩვენ წარმოვადგინეთ 24 აპრილს პროექტი საშტატო ნუსხაში ცვლილებასთან დაკავშირებით, შემდგომ უკვე მაისის დასაწყისში განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილებები, სადაც უკვე კატეგორიის ცვლილებამ მიიღო რეორგანიზაციის სახე, ვინაიდან მერიაში უკვე უნდა გამოცხადებულიყო რეორგანიზაციის პროცესი, ამ კუთხით, ანუ მუნიციპალიტეტში შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს გაჩნდა შეკითხვა, ანუ იყო მოსაზრებები, მერია ფიქრობდა რეორგანიზაციის პროცესზე სხვა კუთხითაც, ანუ ხომ არ შეიძლებოდა რაიმე შტატების გადაადგილება...*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *ბოდიშს გიხდით, მესმის თქვენ რაზეც საუბრობთ, მაისზე საუბრობთ, მაგრამ 16 იანვარზე არ საუბრობთ და 1 აპრილზე, დადგენილებების ცვლილებები ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, განვიხილეთ, თქვენთან ერთად განვიხილეთ, თუ თქვენ არ ბრძანდებოდით, საკრებულოს იურისტები იყვნენ. ბატონმა ეროდიმ გავაცნო ეს საკითხი, 16 იანვრის წერილის გაზიარებაზე გეუბნებით, რეკომენდაციაზე, და 1 აპრილის ვადის გაშვებაზე, ეს არის მთავარი, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.*

**ლაშა თავაძე:** *ამაზე გითხარით, პროექტის შეუშავებს ხომ თავისი დრო უნდა, არის დაწესებულებები და არის ორგანიზაციები, სადაც ერთი წელი და რაღაცა პერიოდი მიმდინარეობს პროექტის განხილვა, ნორმატიული აქტის პროექტია.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *16 იანვარს მოგივიდათ წერილი, კარგი, 18 იანვრამდე ვერ მოასწარით, აი, პირველ აპრილამდე რატომ ვერ მოასწარით, სამ თვეში რატომ ვერ მოასწარით?*

**ლაშა თავაძე:** *ნუ, ახლა, დრო უნდოდა, ეს ხომ არ არის, დავუშვათ, რომ მერია იყოს შემოფარგლული მარტოდ საშტატო ნუსხაში განსაზღვრული ცვლილებებით, სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიცაა.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *მომისმინე, ეს არ არის უფრო მეტი?*

**ხათუნა ცერცვაძე:** *თქვენ, ბატონო ლაშა, ხართ მერიის იურისტი, რა თქმა უნდა, დიდ პატივს გცემთ, მაგრამ ბატონი მერის მოადგილე არის აქ და იქნებ უფრო მეტი პასუხი გაგვცეს.*

**ირაკლი სირაძე:** *პასუხს სცემს ბატონი ლაშა.*

**გიორგი ღურჯუმელიძე:** *თუმცა, თქვენც აქტიურად იცავდით, ბატონო ირაკლი ამ პოზიციას. სხვათა შორის, იურიდიული კონსულტანტი, ბატონი კოკა კილურაძც იყო აქ მოწვეული და ისიც ამტკიცებდა, რომ ეს ასე უნდა იყოს.*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *ბატონო ირაკლი, თქვენი მოსაზრებაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის, გვაინტერესებს თქვენი პოზიცია 16 იანვარს შემოსული წერილიდან ვიდრე პირველ აპრილამდე.*

**ირაკლი სირაძე:** *ქალბატონო მარიკა, გაცემულია პასუხი, რომ გარდა ამ საკითხებისა, იყო მომდენო რიგი საკითხები განსახილველი და ვერ მოხერხდა ამ ვადაში ამ საკითხის დასრულება.*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *ანუ უფრო მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდა იურიდიულ სამსახურს, ვიდრე საშტატო ნუსხის დამტკიცება?*

**ირაკლი სირაძე:** *მიმდინარე პროცესში იყო არაერთი მნიშვ-ნელოვანი საკითხი განსახილველი, რაზეც მუშაობდა მერია.*

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** *ანუ საშტატო ნუსხაზე უფრო მნუშვნელოვანი საკითხი?*

**ირაკლი სირაძე:** *გაუგებრად გითხარით რაიმე? უფრო მნიშვნელოვანი ვახსენე? მე გითხარით, რომ არანაკლები მნიშვნელოვანი საკითხებიც იყო.*

***ინფრასტრუქტურის*** *კომისიის თავმჯდომარის* ***ლავრენტი ბიგვავას*** *შეკითხვაზე* ***– ვინ უნდა დააბრუნოს თანამშრომლებზე ზედმეტად გაცემული თანხები,*** *მერიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა,* ***რომ ისინი (თანამშრომლები) თანხას არ დააბრუნებენ, ხოლო თუ სასამართლომდე მივა საქმე, ალბათ, დადგება იმ პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაც დააზარალა***

# „ვირტუოზის სული“ ვირტუოზთა შესრულებით“



**საქართველოში, კერძოდ, გურიაში ევროპიდან ჩამობრძანებულმა ცნობილმა მუსიკოსებმა - ბელა ბერკემერ-მახარაძემ, ნატანების მკვიდრმა და მისმა მეუღლემ უვე ბერკემერმა.17 აგვისტოს ნატანების კულტურის სახლში კონცერტი გამართეს. მშობლიური სოფლის სცენაზე ვირტუოზულად შესრულებულმა და სრული ანშლაგით ჩავლილმა „ვირტუოზის სულმა“ უდიდესი სიხარული მიანიჭა როგორც ქალბატონ ბელასა და მის მეუღლეს, ისე კონცერტზე დამსწრე საზოგადოებას.**

**ორი დღით ადრე , ევროპაში ცნობილი მუსიკოსები ოზურგეთში მუნიციპალიტეტის მერიას სტუმრობდნენ. გერმანიიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს მიესალმნენ მუნიციპალიტეტის მერი და მისი მოადგილეები, კულტურის სამსახურის საჯარო მოხელეები.**

**შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მოამზადებენ საკითხს ბელა ბერკემერ-მახარაძესა და უვე ბერკემერს, ქართული მუსიკის ევროპაში სათანადოდ წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის, ქართულ მუსიკალურ კულტურაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, მიენიჭოთ ოზურგეთისა და ნატანების საპატიო მოქალაქეების წოდებები.**

**ქალბატონმა ბელამ კონცერტზე მიიპატიჟა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის მონაწილეები და აქვე სურვილი გამოთქვა, ერთგვარი ანგარიშის სახით, თავისი მუსიკალური სრული პროგრამით წარსდგეს მაყურებლის წინაშე ოზურგეთის თეატრში ამ თეატრის სრული რეაბილიტაციის შემდეგ.**

**ეს მოხდება ორი წლის შემდეგ, მანამდე კი შეთანხმდნენ, რომ ოზურგეთელებს გადმოუგზავნიან შვეიცარიელი რეჟისორის მიერ გადაღებულ ფილმას კავკასიის კამერულ ორკესტრზე, რომელიც 2000 წელს შექმნა პიანისტმა, კომპოზიტორმა და დირიჟორმა უვე ბერკემერმა.**

**წარმატებული მუსიკოსთა ოჯახის შესახებ გვინდა, რაც შეიძლება მეტი იცოდეს ქართველმა მოსახლეობამ. გთავაზობთ ინტერვიუს ბელა ბერკემერ-მახარაძესა და უვე ბერკემერთან, რომელიც ნატანებში კონცერტის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე შედგა.**

**— უპირველეს ყოვლისა, გვიამბეთ, ქალბატონო ბელა, თქვენი ბავშვობის შესახებ**

— ჩემი ბავშვობა უბედნიერეს წლებთან იყო დაკავშირებული. ვიზრდებოდი თბილ გარემოში.დავიბადე 1975 წლის 12 თებერვალს სოფელ ნატანებში. მეამაყება, რომ მყავს ძალიან კარგი მშობლები:დედა - ეთერ კვერღელიძე, მუსიკოსი, პიანისტი; მამა - რომან მახარაძე, ინჟინერი. მყავს უფროსი ძმა პაატა მახარაძე.

როდესაც 5 წლის ვიყავი, დედამ შემიყვანა ნატანების სამუსიკო სკოლაში, ფორტეპიანოს განხრით, სადაც თვითონ იყო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. ჩემი პედაგოგი გახლდათ უსაყვარლესი რაისა ჯავახია. იგი ძალიან კარგად მასწავლიდა და ვარ მისი მადლიერი.

7 წლისას დედამ მირჩია, მეცადა ვიოლინოზე დაკვრაც. დედის რჩევა მოვიწონე და შევუდექი საქმეს. ვინაიდან გვიან შევედი, მომიწია პროგრამის დაჩქარებულად დაძლევა, რათა სხვა ბავშვებს დავწეოდი. მე ეს შესანიშნავად გამომივიდა. ამაში დამეხმარა ჩემი ბათუმელი პედაგოგი, ბატონი თემურ შალვაშვილი. მან იმდენად სწორად წაიყვანა ჩემი მიმართულება, რომ 10 წლის ასაკში უკვე სცენაზე ვიდექი და ორკესტრთან ერთად ვუკრავდი,ხოლო 11 წლის ასაკში დავუკარი მოცარტის კონცერტი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ნატანების კულტურის სახლში. მე ვვითარდებოდი როგორც პიანისტი, მაგრამ აქცენტი გადატანილი მქონდა ვიოლინოზე.

**— როგორ განვითარდა შემდგომ თქვენი სამუსიკო კარიერა?**

— ჩავაბარე ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში სავიოლინო განხრით, მაგრამ მოვითხოვე ორივე სპეციალობის შესწავლა, რაზეც უარი მივიღე, კუტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე ეს შეუძლებელი იყო. სამინისტროს პასუხი ასეთი იყო: ,,თუ ასეთი ნიჭიერი ბავშვია, ჩამოვიდეს თბილისში და სწავლა აქ განაგრძოს ნიჭიერთა ათწლედში“. იმ პერიოდში ძალიან სიდუხჭირე იყო საქართველოში, რის გამოც, დედაჩემი წინააღმდეგი იყო ჩემი თბილისში წასვლისა, საბოლოოდ, დაჟინებული თხოვნით მაინც ჩემი გავიტანე. დავამთავრე ნიჭიერთა ათწლედი ,შემდეგ სწავლა განვაგრძე კონსერვატორიაში. მყავდა უძლიერესი პედაგოგები, განსაკუთრებით პროფესორი შოთა შანიძე, რომელმაც სრულიად გადამაკეთა და საინტერესო გამხადა, როგორც მევიოლინე. სამწუხაროდ, 2 წლის შემდეგ ის გარდაიცვალა. ნათელი დაადგეს მის სულს; ამის შემდგომ ჩემს განვითარებას წარუძღვა პროფესორი ხათუნა თუშმანიშვილი.

ბავშვობიდან დღემდე სულ ოთხი პედაგოგი მყავდა: პიანისტი რაისა ჯავახია,თემურ შალვაშვილი,შოთა შანიძე და ხათუნა თუშმანიშვილი.

**— გვიამბეთ თქვენი და ლიანა ისაკაძის ურთიერთობის შესახებ?**

— ლიანა ისაკაძეს შექმნილი ჰქონდა სასტიპენდიანტო ფონდი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, მე ვიყავი მისი პირველი სტიპენდიანტი. მან ჩამოაყალიბა საქართველოს კამერული ორკესტრი და მისი თხოვნით დავიწყე ორკესტრში მევიოლინედ მუშაობა, რაც ჩემთვის დიდი პატივი იყო.

**— როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე უვე ბერკემერი?**

— ორკესტრში მუშაობის 6 თვის შემდეგ ქალბატონმა ლიანამ ჩამოიყვანა გერმანელი პიანისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი უვე ბერკემერი. უვე და ლიანა უკვე მეგობრები იყვნენ. ჩვენი ურთიერთობა ისე განვითარდა, რომ მე მას ძალიან მოვეწონე.იგი უსაზღვროდ რომანტიკული ადამიანია. ორი თვეც არ იყო გასული, ჩვენ დავქორწინდით. უვეს მეჯვარე იყო ქალბატონი ლიანა,რაც ჩვენთვის ძალიან დიდი დაფასება იყო.

**-- რას გვეტყვით თქვენი შვილების შესახებ?**

- გვყავს ორი შვილი:უფროსი გოგონა, ნინა, რომელიც 17 წლის ხდება უკრავს ვიოლინოზე, ფორტეპიანოზე და გერმანიის მასშტაბით გახდა ვოკალური კონკურსის ლაურეატი, პატარა კი, 7 წლის მარი მღერის და უკრავს ჩელოზე. ასეთია ჩვენი დიდი და პატარა სიცოცხლეები.

**— ყველაზე კარგად რა გამოგდით?**

— ვიოლინოზე დაკვრისა და სიმღერის გარდა, კიდევ კარგად გამომდის სიყვარულის გაცემა, ასევე კარგად გამომდის ადამანის ნერვებზე თამაში, შემიძლია წყნარი ადამიანიც კი გამოვიყვანო მწყობრიდან (იცინის), მაგრამ ეს იშვიათად ხდება, რაღა თქმა უნდა (კვლავ იცინის).

**- თქვენ შესანიშნავი შემოქმედებითი დუეტი ბრძანდებით.როგორ ემზადებით ყოველი კონცერტის წინ?**

-სიმართლე გითხრათ, ჩვენი ერთად მეცადინეობა აუცილებელი არ არის, ვიოლინოს სულ სხვა დამუშავება სჭირდება მილიმეტრებში, ამიტომ მე უფრო მეტს ვმუშაობ, ვიდრე უვე და ბოლოს, კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ერთად ვრეპეტიციობთ. ეს იმდენად კარგად გამოგვდის, რომ აღფრთოვანებული რჩება ჩვენი მაყურებელი როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

**— სად გამართეთ კონცერტები და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— ბოლო ერთი წელია, რაც სოლო კონცერტებს ვმართავ საქართველოში. მინდა, საქართველოს ყველა რეგიონს მოვეფერო და გავმართო ჩემი სოლო კონცერტები. ერთ-ერთი ასეთი კონცერტი გავმართე ჭიათურაში, სადაც ძალიან დიდი შეხვედრა მომიწყვეს, მაყურებელი აღფრთოვანებული დარჩა. ასევე 1 აპრილს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გავმართე სოლო კონცერტი. დიდ რისკზე წავედი, რადგან 500-კაციან დარბაზში 50 ადამიანი იყო ჩემი ახლობელი და არ ვიცოდი, დარბაზი შეივსებოდა თუ არა,რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა და დარბაზი შეივსო, რითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი. მომავალში ვაპირებ ზუგდიდში, თელავში, სიღნაღსა და ქუთაისში კონცერტების გამართვას, რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, 23 სექტემბერს კონცერტს გავმართავთ თესალონიკში ქართველი ემიგრანტებისა და უცხოელი მაყურებლისთვის, ასევე 13 ოქტომბერს ამსტერდამში. ჩვენ ვართ ქართული კულტურის ელჩები ევროპაში.

**- ბატონო უვე, თქვენ 2005 წელს ჩამოაყალიბეთ კავკასიის ორკესტრი.რა მიზანს ემსახურებოდა ეს?**

— როდესაც მე პირველად,2000 წელს, ჩამოვედი საქართველოში ძალიან მომეწონა ბუნება, ქართველი ხალხი და ქართული მუსიკა.ამასთან ერთად, შევამჩნიე, რომ იყო პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყნებს შორის.შემოვიარე კავკასიის ქვეყნები, შევკრიბე უნიჭიერესი მუსიკოსები და თბილისში დავაფუძნე კავკასიის კამერული ორკესტრი, რომელსაც ერქვა მშვიდობის ორკესტრი. მინდოდა,გაგვეცნო ეს ორკესტრი პრობლემური ქვეყნებისთვის, მაგრამ სოხუმში კულტურის მინისტრმა უარი გვითხრა ამასთან დაკავშირებით. ასევე კონცერტები გვქონდა ევროპარლამენტში, სადაც 5-ჯერ მიგვიწვიეს. ორკესტრს აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეწყდა დაფინანსება.

**— საქართველოს კამერული ორკესტრის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი. თუ შეგიძლიათ, გვიამბოთ ამის შესახებ?**

— 2005 წელს ბათუმში ჩატარდა ფესტივალი,რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები. შვეიცარიიდან ჩამოსულმა რეჟისორმა, ფესტივალის დამთავრების შემდეგ,შემომთავაზა ორკესტრის შესახებ ფილმის გადაღება.ერთი თვის განმავლობაში იღებდნენ ფილმს. ჩემი მიზანი იყო, გროზნოში ჩამეტარებინა კონცერტი. 2007 წელს ჩავედით ჩეჩნეთში, სადაც ჩვენი იდეით კულტურის მინისტრი აღფრთოვანდა,მაგრამ ომის გამო კონცერტი აღარ ჩატარებულა და ამიტომაც ფილმს დაერქვა ,,ოცნება გროზნოზე“. ამ ფილმმა ვერონის საერთაშორისო ფესტივალზე აიღო გრან-პრი.

**— რას იტყოდით ქართული სიმღერის ,,სულიკოს“ შესრულებასთან დაკავშირებით?**

- ამ სიმღერას ჩემი შესრულებით დიდი წარმატება ხვდა საზღვარგარეთ. ლიანა ისაკაძის დამსახურებაა,რომ ორკესტრთან ერთად ვიმღერე ეს სიმღერა.,,სულიკო“ იმდენად მელოდიურია, რომ ჩემი საკუთარი სიმღერა გახდა. უცხო მაყურებელი საჭიდაო სიმღერასა და ,,სულიკოს“ ისეთი გრძნობით ხვდება, როგორც ქართველი მაყურებელი, ამიტომ დარბაზში დიდი ოვაციებია.

**— თქვენ საქართველოს მოქალაქე ბრძანდებით.რამ განაპირობა ეს?**

— ეს ბუნებრივია, მე ქართველი მეუღლე მყავს, მიყვარს საქართველო და ამიტომ გავხდი საქართველოს მოქალაქე. ყველაფერი მიყვარს ქართული: ტრადიციები, კულტურა, მუსიკა და კერძები(იღიმის).

**— რა არ მოგწონთ ქართული?**

— ქართული ძალიან ცოტა რამ არ მომწონს.ერთ-ერთი დროის უპატივცემულობა, არაპუნქტუალურობაა.

**— რა აზრის ბრძანდებით სიყვარულზე?**

— სიყვარულზე საუბარი მიჭირს, მაგრამ ჩემი და ბელას სიყვარულზე ბევრის თქმა შემიძლია (იღიმის).მე და ბელა სხვადასხვა მენტალიტეტების ადამიანები ვართ. გერმანიაში საკითხის გადაწყვეტა გონებრივი განსჯის შედეგად ხდება,საქართველოში კი ემოციური და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება იციან. ჩვენ სცენაზე მაყურებლის მიმართ დიდი სიყვარულით ვართ გამსჭვალული. ემოციურებიც ვართ და იგრძნობა, რომ გონებრივად ერთნაირად ვაზროვნებთ და ეს შესანიშნავად გამოგვდის.

**- ბელა, თქვენ რას ფიქრობთ?**

- შესანიშნავი დუეტი ვართ სცენაზე. სინამდვილეში ორივე დომინანტური ხასიათის ვართ, რაც კულუარებში იჩენს თავს ხანდახან, ნოტები ჰაერში მიჰქრის და კედლებს ზანზარი გააქვს (იცინის). ჩვენი კამათი არ გადადის შეურაცხყოფაში და სიყვარულზე არ აისახება.

**— ბელა, თქვენ მოგენიჭათ საქართველოს პირველი წარმატებული ემიგრანტის ტიტული. საიდან წამოვიდა** ეს პროექტი?

— ქალბატონი ინა ასანიძე, რომელიც გახლავთ ამ პროექტის ავტორი ფეისბუქით ადევნებდა თვალყურს ჩვენ მიერ წარმატებით ჩატარებულ კონცერტებს. ჩვენს პროგრამაში უფრო მეტი ქართულია, როგორც კლასიკური მუსიკა, ასევე სიმღერებიც და მან გადაწყვიტა, რომ ჩემთვის მოენიჭებინა საქართველოს პირველი წარმატებული ემიგრანტის ტიტული,რომელიც გადმომცა ბატონმა ზვიად კვაჭანტირაძემ, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობას ვუხდი.

**— და ბოლოს, რას გვეტყვით მშობლიურ სცენაზე 17 აგვისტოს ჩასატარებელი კონცერტის შესახებ?**



— ეს ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო,რადგან არც ერთ ქვეყანაში არ მიგრძნია ისეთი დიდი პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარ სცენაზე ნატანებელი მაყურებლის წინაშე. ჩვენ მოვამზადეთ შესანიშნავი პროგრამა როგორც კლასიკური, ასევე ქართული სიმღერები. ჩემი მხარდამჭერები იყვნენ და არიან: ჟურნალისტი ეკა მელუა, ჭიათურაში - ჭიათურის მერი პაატა ნადირაძე, თესალონიკში - ზოია სულხანიშვილი, ჰოლანდიაში - თიკა სვანიძე, ნატანებში - ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, მერის რწმუნებული სოფელში ნაირა კვაჭაძე, რწმუნებულის თანაშემწე - ვახტანგ გობრონიძე და საღამოს ორგანიზატორი, ნაციონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გულო ნიკოლაიშვილი. განსაკუთრებით უნდა გამოვყო გულო ნიკოლაიშვილი, რომ არა ის, ეს კონცერტი არ შედგებოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. ასევე მადლობას ვუხდი და დიდი სიყვარულით ვეფერები მაყურებელს, რომელსაც 17 აგვისტოს ვთავაზობთ არაჩვეულებრივ, დაუვიწყარ კონცერტს ,,ვირტუოზის სული“.

ესაუბრა

**გულო ნიკოლაიშვილი.**

# ოზურგეთელმა მკლავჭიდელებმა ოთხი მედალი



ოზურგეთელმა მკლავჭიდელებმა 8 აგვისტოს ქ. ბათუმში გამართულ ტურნირში, რომელიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად იმართება, ოთხი მედლის - ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მოპოვება შეძლეს.

ოზურგეთელმა სპორტსმენებმა აღნიშნულ ტურნირში დამაჯერებლად, კარგად იასპარეზეს. გიორგი შუკაკიძემ პირველი, ილია ჟვანიამ, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელით - მეორე, ხოლო ლუკა ლიპარტელიანმა კი მესამე საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს.

ასპარეზობაში ასევე გამოდიოდნენ საქართველოდან სხვადასხვა რეგიონის ნაკრები გუნდები.

მკლავჭიდელთა ნაკრები შეჯიბრისთვის მწვრთნელებმა გიორგი რუსიეშვილმა და ზურაბ ბურჭულაძემ მოამზადეს.

ქ. ბათუმში გამართულ ტურნირში მკლავჭიდელთა ნაკრების ორგანიზებულად გამგზავრება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებამ უზრუნველყო. მკლავჭიდელთა სექცია აღნიშნული გაერთიანების ბაზაზე უკვე წლებია არსებობს და წარმატებებს აღწევს.

# ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

აგვისტოს დასაწყისში იტალიაში, ქ. რომში ჩატარდა ევროპის პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

საქართველოს ნაკრებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანების აღზრდილი ირაკლი ძიმისტარიშვილი გამოდიოდა.

ირაკლიმ 60 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობა კარგად დაიწყო, თუმცა შემდეგ დასანანი მარცხი განიცადა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. (მწვრთნელი ბექა ჩოფლიანი).

ირაკლი ძიმისტარიშვილი აწ გარდაცვლილ ალექსანდრე ბოლქვაძის აღზრდილია.

## სულთათანა

# ირაკლი ბებურიშვილი

11 აგვისტო!

დაბადებიდან 55-ს, გარდაცვალებიდან 44 წელს გილოცავ, შვილო ირაკლი! 55 წლის წინათ რა დიდი სიხარული მოუტანა ამ დღემ ბებურიშვილების ოჯახს, ჩემო ბუთხუზა, ლამაზო მოჭიკჭიკე შვილო!

4 წლის შემდეგ შეგეყარა სენი, რომელსაც დედა ვერ აცნობიერებდა, ან ვერ გიმეტებდა ამისთვის. დღეს, როცა გავიგონებ, ვინმე ლეიკოზითაა დაავადებული, თვალცრემლიანს შენ მომაგონდები. მახსოვს, როგორი თვალებით შემომხედე და მითხარი: დედი, 11 აგვისტოს 11 წელი მისრულდებაო!.. მაგრამ, დედის მაგივრად, უფალმა გადაგიხადა ოქროს იუბილე.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო ანგელოზო!

შენი დედა **ლია ბებურიშვილი.**

# წერილი რედაქციას

ვარ ინდმეწარმე, მაქვს არენდით აღებული მშენებარე „ესკბ“-ს (ყოფილი მანქანათმშენებლობის ქარხნის მშენებარე საპროექტო) შენობის ნაწილი. 2017 წლის 24 აპრილის ქარიშხალმა შენობის სახურავი ძლიერ დააზიანა, რომლის შესაკეთებლად საჭიროა ხის მასალა (ე.წ. „რეიკები,“ ფიცრები). იმავე სტიქიამ ჩემს საკარმიდამო ნაკვეთში მოთხარა და დააწვინა ნაძვის ხე, რომლის გამოყენება შეუძლებელია. ამის შესახებ თხოვნით მივმართე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას. მოვიდნენ მერიის წარმომადგენლები და მითხრეს:—ხე როგორც გინდა ისე გამოიყენე, მაგრამ სახერხზე დახერხვის ნებას ვერ მოგცემთო. ამის შემდეგ შევხვდი მუნიციპალიტეტის მერს, რომელმაც მითხრა: -როგორც ჩანს, მერის უფლებამოსილება არ ჰყოფნის დახერხვის ნებართვასო.

მე კვლავ ვიხდი შენობის საიჯარო ქირას ყოველწლიურად —500 ლარს, ხოლო ღია ცის ქვეშ ბიზნესის გაგრძელებას ვერ ვახერხებ. ვსვამ კითხვას —ვისგან მივიღო, ან რატომ არ შეიძლება მოქალაქემ სამასალედ დახერხოს საკუთარ საკარმიდამოში სტიქიის შედეგად მოთხრილი ხე ან შეიქმნას სათანადო კომისია და მოიჭრას ზეზეულად გამხმარი ხეები. რატომ არ შეიძლება ნებართვის მიღების წესი გამარტივდეს.

მაგალითს მოვიყვან: ზვანში, ყოფილი მტკ-ს ეზოში ათეულობით კუბამეტრი სტიქიისაგან მოთხრილი ხეები ჰყრია და ლპება. რატომ არ შეიძლება ეს ხეები დაიხერხოს და სოციალურად და-უცველ მოქალაქეებს დამატებით დაეხმარონ. მე კი, ასეთი დამოკიდებ-ულებით, მუშაობის გარძელების საშუალება აღარ მაქვს.

**ლეონიდე დონაძე.**

# სკანვორდი



- წითელ წიგნში შეტანილი მერქნიანი მცენარე
- ხანი
- ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
- სიდიდით მესამე კუნძული
- ძველის ანტიპოდი
- ჩვილი გოჭი
- ალბანური ფული
- ფინელი მწერალი
- ძალიან დიდი
- შინაური ცხოველი
- გვირაბი
- წვერმოშვებული ჯიხ-სებიანი ტიპი
- ევერესტის პირველი დამლაშქრავი
- კუნძული
- ფრინველების ქრიამული
- კვერი, ჩაქუჩი
- ქალის სახელი
- ჩქარა
- შაშის გამომგონებელი
- ვარსკვლავური მანძილების საზომი
- საგრილებელი
- ავე....
- ტემპერატურული სკალა
- თაქთაქიშვილის ოპერა
- ქართული ვალუტა
- უზბეკეთის დედაქალაქი
- ნევროზის სახეობა
- რუსი ჟურნალისტი მწერალი
- გაშლილი ხელის გარტყმა
- სოფელი ქობულეთის მუნიც-ში
- დოლბანდი
- ტერმინი კავშირგამბულობაში
- პირი
- დიახ
- ბრტყელდინგა ნიანგი
- შენ რუსულად

# № 30-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — გივი ბერიკაშვილი; სარწყავი ნაკადული — რუ; ქართველთა მეზობელი ტომი — ასურელები; ძაღლი „კუჩხი ბედინერში“ — ბროლია; ანაფორა — ვარმანდი; ანბანის მე-6 ასო — ვ; „ამაოების ბაზრის“ ავტორი — თეკერეი; აღმოსავლური ორთაბრძოლა — უშუ; სამართლიანობის ქალღმერთი, ბ. მ. — ასტრეა; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში — ჩანჩეთი; პატარა ტოტი — რტო; ჩრდილი — ჩერო; სამკურნალო ბოსტნეული — ნიორი; კავშირი — და; კოლხთა მშვენიერი ასული — მედეა; მეორე ნოტი — რე; მაღვიძარა ფრინველი — მამალი; კანის დაავადება — მუნი; პატარა კაცი — ჩია; დაბალი სამეურნეო ხელმძღვანელი — მნე; შტატი ეთიოპიაში — აფარი; მამაკაცის სახელი — ვამეხი; ხორციანი შეჭამანდი — შაურმა; კატის ნაშიერი — კნუტი; ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი — სუკრე; მერქნის მღრღნელი — კილი; „დუნე“ მდინარე ევროპაში — დუნაი; ნარკოტიკით ნებივრობა - კაიფი; ბოსტნეული — კამა; თაქთაქიშვილის ოპერა — მუსუსი; ბილიარდის ჯოხი — კია; ოქრომკედით ნაქსოვი ფარჩა — დიბა; ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი — ადარა; გაზაფხულის თვე — მაისი; ბგერის წერითი ნიშანი — ასო; ფრანგი ფერმწერი — პიკასო; სურათების კრებული — ალბომი; კათოლიკეთა უმაღლესი პირი — პაპი; რძის ნაწარმი — კაიმაღი; შემახილი სიმღერაში — რირაო.

# შინდისის 17 გმირი და 16 თავ-ხელმოკვეთილი ლიხაურელი




10 წელი გავიდა აგვისტოს ომიდან, რომელსაც თავისი გმირები ოზურგეთიდანაც ჰყავს, ესენი გახლავან: **თეიმურაზ ჭიტაძე, ზაურ თენიეშვილი ,თამაზ ნიკიტინი**. გურიიდან ცხრა მებრძოლი დაიღუპა.- შინდისის ბრძოლებში, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ სენაკის ბატალიონის დაღუპული 17 მებრძოლიდან 2 **ემზარ წილოსანი** და **ვახუშტი სმირნოვი** ლანჩხუთიდან იყვნენ.

შინდისის გმირებსა და 16 ლიხაურელს შორის საერთო ის არის, რომ ორთავე ბიჭები ერთ დღეს და ერთად დაიღუპნენ. პირველები იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ და მეორენი რუსეთის მხარეზე ორივენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ.მათ ერთმანეთის დაღუპვიდან 141 წელი აშორებს.

გორის რაიონის სოფელ შინდისს 2008 წლის 11 აგვისტოს სენაკის ბატალიონის 17 ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა და ქვეყანას თავგანწირვის საოცარი მაგალითი აჩვენა.

„ბევრი ვიყავით,ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ“ ეს სიტყვები 21 წლის **მიხეილ დვალიშვილს** ეკუთვნის, თითქოს იწინასწარმეტყველაო 10 აგვისტოს წარმოუთქვამს ბრძოლის ველზე(პოეტი ყოფილა).ერთი წუთითაც არ უფიქრიათ უკან დახევა,როდესაც ურიცხვ მტერს (ასეულს) გადაეყარნენ.არ შემდრკალან მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ჯანელიძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე მარლენ ბარამია ლევან მელქაძე და შმაგი კუპატაძე პირველი დარტყმის დროს დაკარგეს.

შინდისელების გადმოცემით შეტაკებამდე 2 საათით ადრე რუსული ტანკები ქართული დროშებით გამოჩნდნენ თურმე სოფელში და ძველი რკინიგზის სადგურთან ჩასაფრებულან,სავარაუდოდ იცოდნენ,რომ იმ გზაზე ქართველებს უნდა გამოევლოთ.ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებასაც არაფრად ჩააგდეს.სენაკის ბატალიონის მიახლოებისთანავე აუფეთქებიათ პირველი და ბოლო მანქანა და ამით გასავლელები ჩაუკეტიათ.ბევრმა თავს უშველა ,მომავალი გმირები მტერს შეაკვდნენ.

შეეძლოთ გარიდებოდნენ, გასაქცევი გზაც ჰქონდათ,მაგრამ თვითონვე მოიჭრეს.რკინიგზის მეორე მხარეს გადავიდნენ და ხელჩართული ომი გამართეს.როცა ტყვია-წამალი გამოელიათ, მაშინ გადაწყვიტა ონიანმა თავის აფეთქება.მისი დღუპვის შემდეგ რუსებმა დაღუპულთა და დაჭრილებთან მიახლოება გაბედეს და საკონტროლო ჯერი გადაატარეს არა და ალეკო ონიანს ეხვეწებოდა გულში ჩახუტებული დაჭრილი ნათლული: ნათლია წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისათვის ილოცეო“,-„არა“-კბილებში გამოცრა თურმე გმირმა. მიწა გვრინავდაო იგონებენ შინდისელები. საქართველოს ჰყავს 17 შინდისის გმირი.ესენია: **მიხეილ დვალიშვილი, მალხაზ აბაშიძე, ამირან შაინიძე,ალექსანდრე ონიანი,რუსლან წულაძე, ზვიად კაცაძე ილია გაბუნია,რომან ზოიძე, კახა კოშაძე,ემზარ წილოსანი, ფელიქს კაკურიძე,ვეფხია ჯიშკარიანი, მარლენ ბარამია,ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე,- შმაგი კუპატაძე, ნიკოლოზ ფორჩხაძე**.ამ ბიჭებმა აჩვენეს ქართველთა თავდადებისა და შეუპოვრობის მაგალითი.მათი სულების უკდავსაყოფად გაკეთდება მემორიალი.- ისტორიაში დარჩებიან როგორც შინდისის გმირები.

მეორე ამბავი 16 ლიხაურელს ეხება, რომელიც დაიღუპნენ ერთ დღეს რუსეთ -თურქეთის 1877-78 წწ.ომში. ამ ომის დროს საქართველოში დიდი მოძრაობა გაჩაღდა ქართველები იმედოვნობდნენ თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწა-წყალს დავიბრუნებთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გავათავისუფლებთო 1876 წელს ჩამოყალიბდა ოზურგეთის მაზრის მილიცია(მოხალისეთა სახალხო ლაშქარი).გაწვევის ადგილას ათასი კაცის ნაცვლად სამი ათასი კაცი გამოცხადებულა მოხალისედ. მოხალისეებად თურმე 13-14 წლის ბიჭები გამოცხადნენ .ახალგაზრდები ცრემლმორეული ითხოვდნენ,რომ დაუყონებლივ ჩაერიცხათ ჯარში და ბრძოლის ველზე გაეგზავნათ. ქართველთა, კერძოდ გურულთა ბრძოლის შესახებ გენერალი კოლუბიაკინი იტყობინებოდა: -,ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას ,ლაშქრისა, რომლებიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობიერებული მუდამ წინ იყო, თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“...დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების პირველსავე დღეს ჩაირიცხნენ ჯარში.ეს გლეხები სოფელ ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობასი მამაცურად იბრძოდნენ. 1877 წლის 22 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის გზაზე უძნელეს საბრძოლო დავალების შესრულების დროს თექვსმეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა“(საქ.ისტორიის ნარკვევები ტ.V გვ.449).ეს გახლავთ ოფიციალური ვერსია დაბეჭდილი საქართველოს ისტორიის ნაკვევების მეხუთე ტომში.

არსებობს მეორე ვერსია:“1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში თავი გამოიჩინა ქართულმა დრუჟინამ უნდა აღინიშნოს „ოზურგეთის რაზმის“ და 18 ახალგაზრდა ლიხაურელის გმირობა,რომლებიც ომის გამოცხადების წინა დღეს მოხალისედ ჩაეწერნენ და მეორე დღესვე დაიღუპნენ მუხაესტატესა და ხუცუბნის ბრძოლებში.ვარაუდობენ,რომ ორი მათგანი უნდა ყოფილიყვნენ მამა-შვილი სალუქვაძე.

სულ ახლახან კინო რეჟისორმა და მწერალმა ირაკლი მახარაძემ გენერალ-მაიორის,ქობულეთის რაზმის გურიის 1-ლი დრუჟინის პირველი მეთაურის ივანე მაყაშვილის წიგნზე დაყრდნობით სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, 16 ლიხაურელის გმირულად დაღუპვის შესახებ:„ლიხაურლები გურიის დრუჟინის მთავარი მეგზურები იყვნენ,თურმე მათი ჩაცმულობა,ე.ი. ჩაქურა და ალუჭურვილობა ხელს უწყობდა, რათა ყველაზე ძნელად გასავალ ადგილებში მათ ადვილად ემოძრავათ და მტერს შეუმჩნევლად მიახლოვებოდნენ.ასევე აღნიშნავდნენ ,რომ ლიხაურელები, ისევე, როგორც სხვა გურულები,ჩუბინები იყვნენ, მიზანს არ აცილებდნენ და დიდ ძიანს აყენებდნენ მტრის ცოცხალ ძალას. ....,ერთ-ერთი ბრძოლის წინ ,სანამ გურულები ახალ პოზიციებს დაიკავებდა,ლიხაურიდან გამოცხადდა 16 ლიხაურელი და ითხოვა,რომ მეგზურებად წინ გაეშვათ.მათ დართეს ნება და ისინი დიდი სიხარულით გადავიდნენ მდინარე ჩოლოქის მეორე მხარეს,მას მიჰყვა გურულთა ასეული.ეს მანევრი შენიშნეს თურქებმა და ძალიან ფრთხილად,ჯარი,რომელიც ოთჯერ მაინც აღემატებოდა ასეულს ,დაიძრა მათ მხარეს.დრუჟინის მეთაურმა მაყაშვილმა გაიგო, რა თურქების მანევრის შესახებ სასწრაფოდ მოითხოვა პლასტუნების ასეულის უფროსისაგან ,რათა დასახმარებლად გასულიყვნენ. მაგრამ მან უარი განუცხადა იმ მიზეზით,რომ ჯარისკაცები მშივრები არიანო და როცა დავაპურებთ, მაშინ გავემგზავრებით, ჩვენი მეზობლების გურულების დასახმარებლადო.ამასობაში ატყდა სროლა ,ლიხაურლები გადაეყარნენ თურქთა ორასკაციან ჯარს და თექვსმეტივე ლიხაურელი ბრძოლაში დაიღუპა. თურქებმა მათ თავები და ხელები მოკვეთეს....მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა პლასტუნთა რაზმი დასახმარებლად,მაგრამ მოწინააღმდეგეს უკან დაეხია.მეორე დღეს პორუჩიკი ღლონტი რამდენიმე გურულთან ერთად გაემართა ბრძოლის ადგილას და იქ ნახა თავ და ხელმოკვეთილი გვამები.ღლონტი მაშინვე დაბრუნდა ქქუთის პოსტზე,საიდანაც გაგზავნილ იქნა შეიარაღებული რაზმი გვამების წამოსაღებად,რომლებიც ლიხაუღში აიტანეს და დიდი პატივით დაასაფლავეს.(ირაკლი მახარაძე,, 16 თავ-ხელმოკვეთილი ლიხაურელი“)

აი ასეთ გმირებს ზრდიდნენ და ზრდიან საქართველოში.

**მანანა ლომაძე**

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი

# ახალგაზრდა მძლეოსანის დიდი გეგმები



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ირაკლი სირაძე, მერიის სპორტული განყოფილების ხელმძღვანელი, თამარ აროშიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, გელა შაფაქიძე და აღნიშნული ცენტრის მოადგილე, ზურა დოლიძე ოზურგეთელ, წარმატებულ მძლეოსანს, საქართველოს ნაკრების წევრ, სოფიკო შათირიშვილს, მწვრთნელთან მარინა კოტრიკაძესთან ერთად შეხვდნენ.

სოფიკო შათირიშვილმა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სპორტული გაერთიანების მესვეურებს 2018 წელს მიღწეული შედეგები გააცნო. მათ კი ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენს მუნიციპალიტეტის მხრიდან კვლავაც გვერდში დგომა და წარმატებების მიღწევის შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა აღუთქვეს.

სოფიკო შათირიშვილმა მაისში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზა და ბირთვის კვრაში პირველი ადგილი აიღო. აღნიშნულმა ჩემპიონატმა ახალგაზრდა სპორტსმენს გზა გაუკვალა აზერბაიჯანში ასპარეზობისათვის. მძლეოსანმა გოგონამ, ბაქოს ჩემპიონატიდან, რომელიც სსესე მაისში თვეში გაიმართა, შესძლო და ოქროს მედალი წამოიღო.

სოფო შათირიშვილი საქართველოს მძლეოსან ნაკრებ გუნდთან ერთად ივნისში გერმანიაში, ქ. ლიხტენშტეინში, მცირე ქვეყნების ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ წავიდა. აღნიშნულ ტურნირში ახალგაზრდა სპორტსმენმა მეორე ადგილი დაიკავა. ბოლო წარმატება კი , რომელსაც სოფომ 2018 წელს მიაღწია აზიის ქვეყნებისთვის, ყაზახეთში გამართული ღია პირველობა იყო. სოფომ აქ დამაჯერებლად კიასპარეზა და შეჯიბრიდან ოქროს მედლითა და დიპლომით დაბრუნდა.

**სოფიკო შათირიშვილი:** დიდი მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, მუნიციპალიტეტის მერიას მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლომა ჩემ მშობლიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებას, მის ხელმძღვანელს, გელა შაფაქიძეს.მთლიან ადმინისტრაციას - მე აქ, როგორც სპორტსმენმა, ფეხი ავიდგი. მადლობა ჩემ მწვრთნელებს: მარინა კოტრიკაძესა და დავით მანთიძეს, რომლებსაც დიდი ამაგი აქვთ ჩემზე. ჩემს წარმატებებში ლომის წვლილი მათ მიუძღვით. ასევე მადლობა ოლიმპიურ კომიტეტს, არაერთგზის გაწეული დახმარებისათვის.

სოფიკო შათირიშვილი ახალი სპორტული სეზონისთვის აქტიურ მზადებას სექტემბრიდან დაიწყებს. ახალგაზრდა მძლეოსანს დიდი გეგმები აქვს - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თასის მოგება. სოფიკოს დარი სპორტსმენისათვის კი მიზანი მიღწევადი და ადვილად დაძლევადია.

# „გზამშენი 18“ –საუკეთესო საგზაო კომპანია რეგიონში





შპს „გზამშენი 18“ (უფროსი თემურ ჯახვა) ერთ-ერთი ძლიერი საგზაო-სამშენებლო ორგანიზაციაა. ამ დროისათვის „გზამშენმა“ სამი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა:

დასრულების სტადიაშია სოფ.ვაკიჯვარი (ფამფალეთი) - სოფ. მთისპირის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპის სამუშოები. – თანხით 823 223,00 ლარი. 1750 მ სიგრძის მონაკვეთი, უკვე ასფალტირებულია, სრულდება სანიაღვრე კიუვეტების ჩასხმა ადგილზე მიტანილი მზა ბეტონით. დასრულდა მდ.ბახვისწყალზე სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია. მოწყობილია ეზოში შესასვლელები ლითონის მრგავლი მილებით დ=500მმ. ახლა ეწყობა სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტები და მოხდება გზის მონიშვნა წყვეტილი ხაზებით.

აგვისტოში დასრულდება სოფ.შემოქმედის ცენტრი -გორისფერდის 1430 მეტრი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებიც , რაზედაც 420 238,30 ლარი დაიხარჯება. აქაც ასფალტის დაგება უკვე დასრულებულია. დასრულდა ასევე ადგილობრივი და ეზოში შესასვლელები, მოეწყო სარეგულაციო კედლები გაბიონებით, მოწყობილია და შეღებილია ბეტონის პარაპეტები. გზა მოეწყობა საგზაო ნიშნებით, შემოიფარგლება ლითონის მრუდხაზოვანი ძელებით და დასრულდება მისი სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნით.

გასულ წელს დაიწყო და წელს მაისში დასრულდა წითელმთა-მაკვანეთის შემაერთებელი 2327 გრძივის მეტრის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამ გზაზე მოხდა, ტრასის აღდგენა, ბუჩქნარების გაკაფვა, ელ.გადამცემი ხაზების გადატანა, არსებული დაზიანებული მილების დემონტაჟი, მდ.ბჟუჟზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყო ხიდის სავალ ნაწილზე, საფარი მოეწყო ტროტუარებზე.მოეწყო ადგილობრივი და ეზოში შესასვლელები, გზაზე მოეწყო თანამედროვე სტანდარტების საგზაო ნიშნები. მოეწყო ლიტონის მრუდხაზოვანი, ძელებიანი ზღუდარები და პლასმასის მიმმართველი ბოძკინტები. აღნიშნულ პროექტზე 1 200 342 ლარი დაიხარჯა.


















(რ)

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 20 აგვისტო ორშაბათი | 21 აგვისტო სამშაბათი | 22 აგვისტო ოთხშაბათი | 23 აგვისტო ხუთშაბათი | 24 აგვისტო პარასკევი | 25 აგვისტო შაბათი | 26 აგვისტო კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე ღრუბელი +18+24 | მზე ღრუბელი +17+23 | მზე ღრუბელი +17+24 | მზე ღრუბელი +17+27 | ელ-ჭექი +17+23 | ელ-ჭექი +17+24 | მზე ღრუბელი +16+23 |